შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

თბილისი, 2023 წელი

კანონპროექტის ძირითადი მიზნები

- ადამიანისა და ცხოველისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა
- ცხოველთა დაცვა სასტიკი მოპყრობისაგან
- ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა
- ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველყოფა
- ცხოველთა გამრავლების კონტროლი
- ცხოველთა ორთაბრძოლების აკრძალვა

შინაურ ბინადარ ცხოველთა სტატუსი

პატრონიანი

ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე

მიკედლებული

ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი

უპატრონო

ცხოველი, რომელზეც არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც არ უდგინდება მეპატრონე

მონაცემთა ერთიანი ბაზა შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლისა და კატის) მიკვლევადობისთვის

- კანონის პროექტით გათვალისწინებულია ძაღლებისა და კატების იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის ვალდებულება;

იდენტიფიკაცია - შინაური ბინადარი ცხოველების ნიშანდება *<u>საჭდით</u>* ან *<u>მიკროჩიპით</u>*

რეგისტრაცია – იდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანა

- იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის ვალდებულება ეკისრებათ ძაღლისა და კატის **მეპატრონეებსა** და **მიმკედლებლებს**, ხოლო უპატრონო ცხოველების იდენტიფიკაცია/რეგისტრაციას განახორციელებს **მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო**

- **მარეგისტრირებელი სუბიექტები**:
  - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო
  - ვეტერინარული დაწესებულება
  - თავშესაფარი
  - საშენი
- იმისათვის, რათა შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის პროგრამამ გამართულად იმუშაოს და ყველა შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი/კატა) გახდეს მიკვლევადი, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან

შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონისა და მიმკედლებლის ძირითადი ვალდებულებები:

მეპატრონე

- სათანადო კვება-დაწყურვება, ჯანმრთელობის უზრუნველყოფა;
- ძაღლის/კატის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია (პირველადი და საკონტროლო - ყოველწლიური);
- ყოველწლიური ვეტერინარული შემოწმება, ვაქცინაცია (ანტირაბიული და კომპლექსური);
- ნარევი (მეტისი) ჯიშის ძაღლისა და კატის სტერილიზაცია /კასტრაცია

მიმკედლებელი

- კვება-დაწყურვების შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფა;
- ძაღლის/კატის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია (პირველადი და საკონტროლო - ყოველწლიური);
- კანონის ამოქმედებიდან 2 წლის შემდეგ უზრუნველყოს მიკედლებული ძაღლის/კატის ვაქცინაცია; (კანონის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში მიკედლებული ძაღლისა და კატის ანტირაბიულ ვაქცინაციას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსა (ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო) და სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციები

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

- შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაცია/რეგისტრაცია (სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე);
- **მიკედლებული და უპატრონო** შინაური ბინადარი ცხოველების ანტირაბიული ვაქცინაცია;
- **მიკედლებული და უპატრონო** შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვა კასტრაცია/სტერილიზაციის გზით;
- შინაური ბინადარი ცხოველების გაჩუქება, მიმკედლებლის მოძიება ან დაბრუნება პირვანდელი ბინადრობის არელაში;
- **პატრონიანი** შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების, მათ შორის, იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის ვალდებულების შესრულების, სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების შეფარდება;
- **მიკედლებული** შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, კანონპროექტით გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაციის ვალდებულების შესრულების კონტროლი და კანონმდებლობით დადგენილი სანქციების შეფარდება;
- შინაურ ბინადარ ცხოველთა საშენის ავტორიზაცია;
- **საშენის კონტროლი (მათ, შორის,** გასამრავლებელი შინაური ბინადარი ცხოველების ჯიშიანობასა და გამრავლებაზე ვარგისიანობის შესახებ **ცნობის ქონის კონტროლი)**
- შინაური ბინადარი ცხოველის ლეშის განკარგვა

სურსათის ეროვნული სააგენტო

- ვეტერინარულ დაწესებულებაში, თავშესაფარში, საოჯახო ტიპის დროებით თავშესაფარში, სარეალიზაციო ობიექტში, სასტუმროში, საშენში, კინოლოგიურ/ფელინოლოგიური დაწესებულებებში შემდეგი საკითხების კონტროლი:
  - კანონით დადგენილი სტანდარტების (მათ შორის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების) დაცვაზე
  - დაურეგისტრირებელი/არაიდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველების მიღება/მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვაზე
- საბაჟო საზღვარზე შინაურ ბინადარ ცხოველთა გადაადგილებისას ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება.

შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლება და პოპულაციის მართვა

- ჯიშიანი ძაღლისა და კატის გამრავლება მხოლოდ საშენის მიერ

<u>პირობები:</u>

- ცნობა ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ ვეტერინარული დაწესებულებიდან
- ცნობა ცხოველის ჯიშიანობის და გამრავლებაზე ვარგისიანობის შესახებ კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან

პოპულაციის კონტროლის მიზნით, აკრძალულია:

- ნარევი (მეტისი) შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) გამრავლება, გარდა სელექციური მიზნისა;
- არარეგისტრირებული ძაღლისა და კატის გამრავლება;
- გენეტიკური დაავადებების მქონე შინაური ბინადარი ცხოველების გამრავლება;
- 18 თვემდე და 6 წლის ზემოთ ასაკის ძაღლების გამრავლება;
- გარეული ცხოველების შეჯვარება შინაურ ბინადარ ცხოველებთან.

უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვა

უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოპულაციების მართვის ძირითადი მეთოდია **<u>სტერილიზაცია/კასტრაცია.</u>**

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით უზრუნველყოს:

- უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების ჰუმანური მეთოდებით დაჭერა და იზოლაცია;
- უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების სტერილიზაცია/კასტრაცია;
- უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;
- უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მიკედლება ან ბინადრობის გარემოში დაბრუნება.

შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრები

შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი

მუნიციპალიტეტი ვალდებულია დამოუკიდებლად ან კოორდინირებულად სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, შექმნას შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი

გარდა მუნიციპალური თავშესაფრისა, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი შესაძლოა შექმნას ნებისმიერმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად

საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი

სპეციალიზებული დაწესებულება, *სადაც გამოჯანმრთელებამდე* ან *ახალი მეპატრონის მოძიებამდე დროებით* არის განთავსებული არა უმეტეს 15 უმეთვალყურეო, ტრავმირებული, ან დაკარგული შინაური ბინადარი ცხოველი

არსებული მდგომარეობა:

1. თბილისი - 5 მოქმედი, 3 მშენებარე;
2. რუსთავი - 1 კერძო თავშესაფარი;
3. ბათუმი - 1 კერძო თავშესაფარი;
4. კახეთი - გურჯაანის მუნიციპალიტეტში 1 თავშესაფარი;
5. შიდა ქართლი - გორის მუნიციპალიტეტში 1 თავშესაფარი;
6. გურია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 1 კერძო თავშესაფარი;

მუნიციპალიტეტის საჭიროებები კანონის აღსასრულებლად

- კანონპროექტის აღსასრულებლად საჭიროა სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების შეფასება, კერძოდ:

  - **იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის** მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოებისთვის საჭირო ხარჯები;
  - **სტერილიზაციისა** და **კასტრაციის** ოპერაციებისთვის საჭირო ხარჯები;
  - მუნიციპალური **თავშესაფრების** მშენებლობისათვის და ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;
  - უპატრონო და მიკედლებული ძაღლების **ვაქცინაციისათვის** საჭირო ხარჯები

- ფინანსურ მოკვლევაში კომიტეტს დამატებით ეხმარება საერთაშორისო დონორი ორგანიზაცის ფინანსური ექსპერტი

პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

შინაურ ბინადარ ცხოველთა:

მოვლა-პატრონობის წესები

მიტოვება;

გასეირნების, მგზავრობის ან უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა;

მიმკედლებლის ვალდებულებების დარღვევა;

ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის შეუტყობინებლობა;

გამრავლების წესების დარღვევა;

პასუხისმგებლობა ვეტერინარიის კოდექსით

კანონის პროექტით განსაზღვრული სუბიექტების მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

შინაურ ბინადარ ცხოველთა:

- გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის და მათზე ცდების ჩატარება;

ქირურგიული ოპერაციების ჩატარება არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე, რასაც მოჰყვა მისი დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება;

ცხოველის მოკვლა;

ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება/ჩატარება/პროპაგანდა;

უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენა/დაკაწვრა, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება.

მადლობა ყურადღებისთვის!